საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აღსრულების ეროვნული ბიურო

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურო

საქართველო, ქ. ზუგდიდი 2100, თეატრის ქ. 2. ტელ: +(995 32) 2 72 11 18 (2238); ელ.ფოსტა: info@nbe.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge

[illegible]

**A23280183-018/003**

05.02.2025

მოვალეებს: გოჩა ცირეკიძეს(60001044457)

მის. ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის VII შესახვევი, N 2

ნათია მებონიას(19001047269)0

მის . ზუგდიდი ცოტნე დადიანის ქ. N 36

ბონდო მებონიას(19001007090)

მის. ზუგდიდი ს. ჭაქვინჯი თამარ მეფის ქ. N 50

**გაფრთხილება აუქციონის დანიშვნის შესახებ**

12-06-2025წ.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია აღსრულების ქვემდებარე აქტი (გამომცემი ორგანო: ქუთაისის საქალაქო სასამართლო; გამოცემის თარიღი: 11.07.2018; აქტის ნომერი #2/1859-15).

სააღსრულებო წარმოების ნომერია: A23280183. კრედიტორ(ებ)ის ( სს თიბისი ბანკი (204854595) განცხადებისა და ზემოაღნიშნული აქტით: ამ ეტაპისთვის მოვალეებს-ბონდო მებონიას(19001007090); ნათია მებონიას(19001047269) და გოჩა ცირეკიძე(60001044457) დაეკისროს 7951.37 დოლარი. (კრედიტორი იტოვებს მოთხოვნის გაზრდის უფლებას;)

სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე აღსრულება (გადახდევინება) უნდა განხორციელდეს კრედიტის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, მდებარე: რაიონი ზუგდიდი, სოფელი ჭაქვინჯი, საკადასტრო კოდი: 43.06.42.005: რეალიზაციიდან, თუკი უძრავი ქონების რეალიზაციიდან მირებული თანხა საკმარისი არ იქნება დავალიანების დასფარავად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსასარულებლად მიექცეს მოპასუხის მთელ ქონებაზე.

**გაცნობებთ, რომ ინიშნება იძულებითი საჯარო აუქციონი აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების დეპარტამენტის შემფასებლის მიერ შეფასებულ** უძრავ ქონებაზე, რომელიც ირიცხება ბონდო მებონიას (პ/ნ: 19001007090) სახელზე. ს/კ 43.06.42.005.

,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ'' საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად – ,,თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც არ არის უზრუნველყოფილი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად, ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება. თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს იპოთეკარი /მოგირავნე, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა სანივთო უფლება (გარდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებისა), რომლებიც ქონებაზე რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ. თუ იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი იპოთეკარები არიან საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სადაზღვევო ორგანიზაცია, საერთაშორისო ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ"

| ოლქის № | ოლქის დასახელება | მაჟ. ოლქი | კანდიდატის № | სახელი | გვარი | წარმდგენი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 67 | ზუგდიდი | 67.32 | 9 | ნათია | მებონია | ძლიერი საქართველო-ლელო |
| 67 | ზუგდიდი | 67.32 | 41 | ჯონი | ჯიქია | ქართული ოცნება |
| 67 | ზუგდიდი | 67.33 | 25 | მერი | შენგელაია | „გახარია საქართველოსთვის“ |
| 67 | ზუგდიდი | 67.33 | 41 | ირაკლი | ჯანაშია | ქართული ოცნება |
| 67 | ზუგდიდი | 67.34 | 9 | ლევან | ანთია | ძლიერი საქართველო-ლელო |
| 67 | ზუგდიდი | 67.34 | 41 | მარლენ | ჯინჯოლავა | ქართული ოცნება |
| 67 | ზუგდიდი | 67.35 | 25 | თათია | შელია | „გახარია საქართველოსთვის“ |
| 67 | ზუგდიდი | 67.35 | 41 | ნიკა | ჩალიგავა | ქართული ოცნება |
| 68 | წალენჯიხა | 68.01 | 3 | ეკატერინე | კვარაცხელია | „კონსერვატორები საქართველოსთვის“ |
| 68 | წალენჯიხა | 68.01 | 25 | გელა | აბულაძე | „გახარია საქართველოსთვის“ |
| 68 | წალენჯიხა | 68.01 | 41 | სოლომონ | სარია | ქართული ოცნება |
| 68 | წალენჯიხა | 68.02 | 9 | გიორგი | დარსალია | ძლიერი საქართველო-ლელო |
| 68 | წალენჯიხა | 68.02 | 41 | გიორგი | ქარდავა | ქართული ოცნება |
| 68 | წალენჯიხა | 68.03 | 3 | ფატმან | ქარდავა | „კონსერვატორები საქართველოსთვის“ |
| 68 | წალენჯიხა | 68.03 | 25 | დიანა | თოდუა | „გახარია საქართველოსთვის“ |

**საქმის № 080211925011786797**
**საქმე#3181-25 (#2/1859-15)**

11047708209343
www.ecd.court.ge

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
## საქართველოს სახელით
## გადაწყვეტილების აღსრულების გადადების შესახებ

**24.09.2025 წელი** **ქ. ქუთაისი**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე ჯემალ გელოვანი**

**განმცხადებელი -** ნათია მებონია;
**წარმომადგენელი** -კახა კუკავა;
**განმცხადებელი** -ბონდო მებონია;

**მოწინააღმდეგე მხარე** - სს „თიბისი ბანკი";

**მოთხოვნა -** გადაწყვეტილების აღსრულების გადადება;

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ განცხადება და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2025 წლის 04 სექტემბერს განცხადებით მომართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ნათია მებონიამ და ბონდო მებონიამ და მოითხოვეს 2017 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება.

**განმცხადებლის განმარტებით,** თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმე N 2/1859-15 (მოსარჩელე: სს „თიბისი ბანკი", მოპასუხეები: გოჩა ცირეკიძე, ნათია მებონია, ბონდო მებონია). განმცხადებელთა განმარტებით მათ ეცნობათ, რომ ინიშნება იძულებითი საჯარო აუქციონი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ უძრავ ქონებაზე, რომელიც ბონდო მებონიას (პ/ნ: 19001007090) სახელზე ირიცხება (ს/კ: 43.06.42.005).

ნათია მებონიას განმარტებით იგი არის მარტოხელა დედა, ონკოლოგიური პაციენტი და ჰყავს 74 წლის მამა, რომელსაც აქვს გულის დაავადება და 72 წლის დედა, რომლებზეც ზრუნვა უწევს მხოლოდ მას.

ამასთან ქონება რომელიც უნდა გაიყიდოს აუქციონზე წარმოადგენს კულტურის ძეგლს (ბაღმარნის ეკლესია). ნათია მებონიამ განმარტა, რომ არ გააჩნია სხვა საცხოვრისი, გარდა იმისა საიდანაც აპირებენ გასახლებას. ამასთან განმცხადებელთა



Scanned with CamScanner

განმარტებით, ამჟამად ინტენსიურად ცდილობენ თანხების მობილიზაციას, რომლითაც იმედს იტოვებენ, რომ შეძლებენ სახლის გამოსყიდვას ან სხვა საცხოვრებლის შეძენას.

**სასამართლომ განიხილა ნათია მებონიას და ბონდო მებონიას განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ და მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $267^1$-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის ზეპირ მოსმენის გარეშე განხილვა.

განმცხადებელი ითხოვს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებას. როგორც წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, 2015 წლის 15 ოქტომბერს სს თიბისი ბანკის წარმომადგენელმა სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხე გოჩა ცირეკიძის, ნათია მებონიას და ბონდო მებონიას მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, 2017 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს თიბისი ბანკის სარჩელი დაკმაყოფილდა.
ნათია მებონიას, ბონდო მებონიას და გოჩა ცირეკიძეს სს „თიბისი ბანკი"-ს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2011 წლის 18 ივლისის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემცირებული დავალიანების 28.244,85 აშშ დოლარის გადახდა. (ძირი თანხა 18 133,31 აშშ დოლარი, პროცენტი - 4624.21 აშშ დოლარი, ჯარიმა - 5000 აშშ დოლარი და დაზღვევა - 487,33 აშშ დოლარი). ნათია მებონიას, ბონდო ,მებონიას და გოჩა ცირეკიძეს სს „თიბისი ბანკი"-ს სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2016 წლის 13 აპრილიდან (საქმეში არსებული დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის თარიღი) №1098096-1370031 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირ თანხაზე - 18133,31 აშშ დოლარზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე, წლიური 12% სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს - 181,33 აშშ დოლარს (6527,88 აშშ დოლარი).
2011 წლის 18 ივლისის №1098096-1370031 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდეს აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი ქუთაისი, გამზირი ახალგაზრდობა, შესახვევი VII, №20, საკადასტრო კოდი: 03.06.27.067 რეალიზაციიდან. თუკი უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება დავალიანების დასაფარავად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცეს მოპასუხის მთელ ქონებაზე.
2011 წლის 18 ივლისის №1098096-1370031 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან



Scanned with CamScanner

გამომდინარე, მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდეს აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, მდებარე: რაიონი ზუგდიდი, სოფელი ჭაქვინჯი, საკადასტრო კოდი: 43.06.42.005 რეალიზაციიდან. თუკი უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა საკმარისი არ იქნება დავალიანების დასაფარავად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცეს მოპასუხის მთელ ქონებაზე.
სხვა ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.
მოპასუხეებს: ნათია მებონიას, გოჩა ცირეკიძეს და ზონდო მებონიას სოლიდარულად დაეკისრათ სს „თიბისი ბანკი"-ს მიერ სახ. ბაჟის სახით გადახდილი 2181.17 ლარის და საადვოკატო მომსახურების ხარჯის - სასამართლოს გარეშე ხარჯის სახით - 500 ლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წლის 11 ივლისს გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი;

განმცხადებლის განმარტებით, მათ ეცნობათ რომ ინიშნება, იძულებითი აუქციონი. ამასთან განმცხადებლის მიერ 2025 წლის 24 სექტემბერს წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, რომ იძულებითი საჯარო აუქციონი 2025 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით დანიშნული არ არის.

განმცხადებელთა განმარტებით, ნათია მებონია არის მარტოხელა დედა, ონკოლოგიური პაციენტი და ჰყავს 74 წლის მამა, რომელსაც აქვს გულის დაავადება და 72 წლის დედა, რომლებზეც ზრუნვა უწევს მხოლოდ მას.
ამასთან ქონება რომელიც უნდა გაიყიდოს აუქციონზე წარმოადგენს კულტურის ძეგლს (ზაღმარნის ეკლესია). ნათია მებონიამ განმარტა, რომ არ გააჩნია სხვა საცხოვრისი, გარდა იმისა საიდანაც აპირებენ გასახლებას. ამასთან განმცხადებელთა განმარტებით, ამჟამად ინტენსიურად ცდილობენ თანხების მობილიზაციას, რომლითაც იმედს იტოვებენ, რომ შეძლებენ სახლის გამოსყიდვას ან სხვა საცხოვრებლის შეძენას.

განმცხადებელმა მიუთითა, გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების აუცილებელი ობიექტურ გარემოებებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო რომელმაც საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთჯერადად, არაუმეტეს 3 თვისა გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუთითებს თავის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, საფუძვლად



Scanned with CamScanner

დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას. მითითებული ღონისძიებები ხელს უწყობს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებას და სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის თხოვნას, თუ ეს უკანასკნელი დაასაბუთებს, რომ აღსრულების გადავადება, მისი საშუალებისა და წესის შეცვლა გადაწყვეტილების აღსრულებას რეალურად დაეხმარება. ამგვარი საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა.

ამ ნორმის საფუძველზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების საფუძველია მხარის ქონებრივი მდგომარეობა, რომლის გამოც გადაწყვეტილების აღსრულება არ შეესაბამება სამართლიანობის და კეთილსინდისიერების პრინციპს.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებულია იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის დროს მოვალის ინტერესების დაცვის ღონისძიებები. ამ ნორმის მიხედვით, 1. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენებისას, აგრეთვე ამავე კანონის 83-ე, 84-ე და $90^1$ მუხლებით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელებისას, თუ აღსრულების ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება ან სხვა საგანგებო შემთხვევა) გამო შესაბამისი მოქმედების გაგრძელება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია არა უმეტეს 6 თვის ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ 6 თვემდე ვადით. 2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ფაქტობრივი ვითარება არ შეიცვლება, მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს იძულებითი აღსრულების ღონისძიება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს ესა თუ ის ღონისძიება არა უმეტეს 3 თვის ვადით. 3. თუ შეიცვალა ფაქტობრივი ვითარება, სასამართლოს შეუძლია კრედიტორის განცხადების საფუძველზე გააუქმოს ან შეცვალოს აღსრულების თაობაზე გამოტანილი განჩინება. 4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში განცხადებები განიხილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით დადგენილი წესით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა არის ისეთი გარემოება, რომლის გამოც იძულებითი აღსრულების განხორციელება მიზანშეწონილი არ არის.

აღნიშნული გარემოებების გამო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნათია და ბონდო მებონიების განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულება გადადებული იქნას წინამდებარე განჩინების მიღების დღიდან - 2025 წლის 24 სექტემბრიდან ერთჯერადად - 3 (სამი) თვის ვადით. სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს ვადა, კრედიტორის უფლებების გაუმართლებელ



Scanned with CamScanner

გუზღუდვას არ გამოიწვევს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე, 284-285-ე, 411-ე, 416-ე, 419-420-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. ნათია მებონიას და ბონდო მებონიას განცხადება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების გადადების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულება, სამოქალაქო საქმეზე #2/1859-15, სს „თიბისი ბანკი"-ს სარჩელის გამო, გოჩა ცირეკიძის, ნათია მებონიას და ბონდო მებონიას მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით. გადადებული იქნას წინამდებარე განჩინების მიღების დღიდან - 2025 წლის 24 სექტემბრიდან, ერთჯერადად - 3 (სამი) თვის ვადით;

3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (ქ.ქუთაისი, ნიუ-პორტის ქ.32), ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მხარისათვის განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში.

**მოსამართლე:** **ჯემალ გელოვანი**

ასლი დედანთან სწორია
ქუთაისის საქალაქო სასამართლო



Scanned with CamScanner